თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5176382

ნომერი: AR1785103

თარიღი : 29.10.2020

გაცემის თარიღი : 06.11.2020

გაცნობის თარიღი : 09.11.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სარაჯიშვილის გამზირი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე ხოფერია პ/ნ 01017042813
- თბილისი ა.ფურცელაძის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2020 წლის 29 ოქტომბრის №AR1785103 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 29 ოქტომბერს №AR1785103 განცხადებით მომართა სალომე ხოფერიამ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 15

ოქტომბრის №5144818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5144818 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.023.002), სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 15 ოქტომბრიდან 2022 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5144818 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საერთო ფართობად 1762.81 კვ.მ-ის ნაცვლად 1762.64 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 286.52 კვ.მ-ის ნაცვლად 286.35 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ +19.30 და +21.89 ნიშნულების ექსპლიკაციებზე არ არის გამოტანილი კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი (ფერითი აღნიშვნა), ასევე +19.30 ნიშნულის გეგმაზე 1-2 და ბ-გ ღერძებში მითითებული ფართი (10.02 კვ.მ.) არასწორად არის შეყვანილი კომერციულ ფართობში, ვინაიდან აღნიშნული ფართობი წარმოადგენს სადარბაზოს ფართობს. +21.89 ნიშნულის გეგმაზე არასრულყოფილად არის დატანილი კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი, დატანილია მხოლოდ 4.97 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1. დააზუსტოს მოთხოვნა კომერციულ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5144818 ბრძანებით შეთანხმებული მხოლოდ +19.30 და +21.89 ნიშნულების გეგმების იდენტური გეგმები ექსპლიკაციებით (გეგმარების შეცვლის გარეშე) შესწორებული ფართობების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2020 წლის 29 ოქტომბრის №AR1785103 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.